

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველო

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (RMIDP)

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტის ნომერი: №4516-GE (დამატებითი დაფინანსება)

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა

კასპის რაიონში (სოფ. თელიანი, მეტეხი) და მცხეთის რაიონში (სოფ. ფრეხეთი, წილკანი) იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების დამატებითი სამუშაოები

კონტრაქტი № RMIDP/CW/NCB/57

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე წინ უძღოდა ამ პროექტის ზოგადი შეტყობინება შესყიდვების შესახებ, რომელიც 2008 წლის 30 მაისს გამოქვეყნდა გაეროს გამოცემა Development Business-ის ელექტრონულ ვერსიაში და ნაბეჭდ ვერსიაში №729 – 30.06.2008.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის (RMIDP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: კასპის რაიონში (სოფ. თელიანი, მეტეხი) და მცხეთის რაიონში (სოფ. ფრეხეთი, წილკანი) იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების დამატებითი სამუშაოები (კონტრაქტი №RMIDP/CW/NCB/57).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს, წარმოადგინონ დალუქული საკონკურსო წინადადებები კასპის რაიონში (სოფ. თელიანი, მეტეხი) და მცხეთის რაიონში (სოფ. ფრეხეთი, წილკანი) იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების დამატებითი სამუშაოები

განსახორციელებლად. სამუშაოების ადგილი განლაგებულია აღმოსავლეთ საქართველოსი, ქარელის რაიონში, თბილისიდან 20-60 კმ-ის მანძილზე და ნაჩვენებია ნახაზებზე. სამუშაოების ადგილამდე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ქუთაისის ავტომაგისტრალის საშუალებით.

ძირითადი სამუშაოების მოცულობებია:

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომ.	რაოდენობა
1	პლინტუსების დემონტაჟი, იატაკის მოხვეწა, იატაკის გამაგრება კოჭების ქვეშ აგურის წყობით.	მ ²	4984
2	მაღალი ხარისხის ლამინირებული იატაკის მოწყობა, ლამინირებული პლინტუსის მონტაჟი	მ ²	4094
3	სამზარეულოში მოხვეწილ იატაკზე ფანერის (δ=4მმ) დამაგრება და ლინოლეუმის (კაუნუკის ფუძეზე) მოწყობა პლინტუსით	მ ²	898.9

	კედლების რეაბილიტაცია		
4	კედლის დაზიანებული უბნების ჩამოფხეკა, დამუშავება ფითხით და შეღებვა მაღალი ხარისხის წყალემულსის საღებავით ორჯერ	მ ²	12446.65
5	არსებული შტეფსელის როზეტების შეცვლა	ცალი	712
	ჭერის რეაბილიტაცია		
6	არსებულ ჭერზე მაღალი ხარისხის ტოქსიკური ნივთიერების არ შემცველი თაბაშირ-მუყაოს ფილის გაკვრა, ქაფკლასტის კარნიზის მოწობა, შეღებვა მაღალი ხარისხის წყალემულსის საღებავით ორჯერ	მ ²	4984
	სამზარეულოს წყალგამყვანი მილი და ვენტილაცია		
7	პლასტმასის მილის L=10მ, დ=50 მმ და პლასტმასის სამი მუხლის მონტაჟი	ცალი	789
8	ვენტილატორის მონტაჟი	ცალი	789
9	კარ-ფანჯრების რემონტი/რეგულირება (13.82მ ² /სახლი)	ცალი	89
10	შესასვლელის გადახურვა გოფირებული თუნუქით	მ ²	1958
	სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია		
11	სახურავის რეაბილიტაცია	მ ²	178
12	ფასადის რეაბილიტაცია	მ ²	445
12	ფანჯრებზე საწვიმრების მოწობა მოთუთიებული ფურცლოვანი თუნუქით (0.8მ ²)	მ ²	71.2
14	დაზიანებული ბეტონის სარინელის აღდგენა	მ ²	178
	საცალფესო ხიდის მოწობა		
15	რკინაბეტონის ფილის დამზადება მონტაჟი 1,2X0,8X0,1მ	ცალი	789
16	კიუვეტების წმენდა და ძირის ნიველირება V=0.1 მ ³ /მ	მ	7890
	საუბნო ონკანებისათვის ნიჟარის მოწობა		
17	მონოლითური ბეტონის ნიჟარის მოწობა V=0.33მ ³	ცალი	173
18	ფოლადის მილის მონტაჟი დ=100მმ L=1.8მ.	ცალი	173
19	სამშენებლო სამუშაოების მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ზომები	ცალი	789

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში შესწორებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში“ აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე. დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი (და დამატებითი ასლები) ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის

წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ. გადახდა ხორციელდება

თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, ვრ. აბაშიძის ქ. №2,
თბილისი, საქართველო
ბანკის კოდი: 220 101 757

ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 107 444 116 99 (ქართული ლარი)
დოლარის ჩარიცხვის შემთხვევაში:

Beneficiary Bank: Bank "Republic", Tbilisi, Georgia, C/A: 00195464, SWIFT Code: REPLGE22. Intermediary Bank: Societe Generale, N.Y., USA, SWIFT Code: SOGE US33

A/N: 107 444 116 99

ევროს ჩარიცხვის შემთხვევაში:

Beneficiary Bank: Bank "Republic", Tbilisi, Georgia, C/A: 001019083750, SWIFT Code: REPLGE22. Intermediary Bank: Societe Generale, PARIS, France, SWIFT Code: SOGE FR PP
A/N: 107 444 116 99

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1,1 (ერთი მთელი ერთი მეათედი) მილიონი ლარის ეკვივალენტს;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 0,1 (ნული მთელი ერთი მეათედი) მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს საკონკურსო წინადადებების გახსნიდან 60 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას უნდა ახლდეს 11 ათასი ლარის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2010 წლის 10 აგვისტოს 13:00 საათისა. საკონკურსო წინადადებების ელ-ფოსტით წარდგენა არ არის ნებადართული.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირადად დასწრებას 2010 წლის 10 აგვისტოს 13:00 საათზე ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები უარყოფილი იქნება და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსის მონაწილეს.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 150,
თბილისი 0112, საქართველო,